ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა

საქართველო

ტურიზმის ინდიკატორები 2024 წლის III კვარტალში
ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი

PMGC | Research

გამოცემა 4 | დეკემბერი, 2024

შინაარსი

შეჯამება	
საერთაშორისო ტურიზმი	4
შიდა ტურიზმი	6
ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი	7
სასტუმროს ფასები საქართველოში	9
გამყვანი ტურიზმი	10
ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში	11

შეჯამება

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2.4 მილიონი შეადგინა, რაც 2%-ით აღემატება** 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს, მაგრამ პანდემიამდელი დონის მხოლოდ 86%-ს შეადგენს.

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან (24%) და თურქეთიდან (21%) განხორციელდა,** მაგრამ თურქეთიდან განხორციელებული ვიზიტები მნიშვნელოვნად შემცირდა (-13%). ვიზიტების რაოდენობის მიხედვით, ყველაზე მაღალი წლიური ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს (65%) და ისრაელს (36%).

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში ევროკავშირიდან განხორციელებულმა ვიზიტებმა 164 ათასი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1%-ით** შემცირებული მაჩვენებელია. ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა გერმანიიდან (19%) და პოლონეთიდან (16%), თუმცა პოლონეთიდან განხორციელებული ვიზიტები ყველაზე მეტად შემცირდა.

- **2024 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია,** რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა. ყველაზე მაღალი იყო რუსეთისა (19%) და ევროკავშირის ქვეყნების (13%) მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი. გარდა ამისა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით ევროკავშირი პირველ სამეულშიც მოხვდა (ვიზიტზე 1,274 აშშ დოლარი) ისრაელისა (1,421 აშშ დოლარი) და საუდის არაბეთის (1,365 აშშ დოლარი) შემდეგ.

- **2024 წლის III კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 5.3 მილიონს მიაღწია, რაც 0.5%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.** აღსანიშნავია, რომ 2022 წლის IV კვარტლის შემდეგ პირველად დაიკლო შიდა ვიზიტების რაოდენობამ. თუმცა, შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 12%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

- **2024 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 180 ლარი შეადგინა** (+3% წინა წელთან შედარებით), 4-ვარსკვლავიან სასტუმროებისამ – 278 ლარი (+3%), 5-ვარსკვლავიან სასტუმროებისამ – 574 ლარი (+12%), ხოლო საოჯახო სასტუმროებისამ – 113 ლარი (-12%).

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 603 ათასი შეადგინა, რაც 7%-ით ნაკლებია** წინა წელთან შედარებით. კლება შეიძლება უკავშირდებოდეს მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას, განსაკუთრებით თურქეთში, სადაც 2024 წლის აგვისტოში ინფლაციამ სტუმარმასპინძლობის სექტორში წინა წელთან შედარებით ფასების 68%-იანი ზრდა გამოიწვია.

ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი

- **ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი არის ტურიზმის სახეობა, რომლის დროსაც ვიზიტორის მოტივაციაა, მონაწილეობა მიიღოს ფესტივალებში, კონცერტებში, დღესასწაულებსა და გამოფენებში.** 2023 წლისთვის მუსიკალური ტურიზმის ბაზარი 6.6 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული. მოსალოდნელია, რომ 2032 წლისთვის იგი 13.8 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

- **გლობალური ტენდენციების კვალდაკვალ, ღონისძიებების და მუსიკალური ტურიზმი საქართველოშიც სულ უფრო მეტად ხდება გამორჩეული მიმართულება.** „Starring Georgia“-ს მუსიკალური კამპანიის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფოსგან 70 მილიონი ლარის ღირებულების სუბსიდიას იღებს, ქვეყანამ სხვადასხვა ცნობილ მომღერალსა და ბენდს უმასპინძლა.

- **„Starring Georgia“-ს ორწლიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს 125,000-მდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის, 18,750 ტურისტი,** რომლებმაც ქვეყანაში 60 მილიონი ლარი დახარჯეს. ბილეთების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 21.4 მილიონი ლარი შეადგინა, სადაც ტურისტების წილი 16% იყო.

- **სამხრეთ კავკასიის რეგიონი რამდენიმე ფართომასშტაბიან საკონცერტო სივრცეს აერთიანებს,** რომლებიც უმნიშვნელოვანესია ტურისტების მოსაზიდად და გლობალურ მუსიკალურ ტურიზმში რეგიონის მოწინავე მოთამაშედ პოზიციონირებისთვის. დარბაზების საერთო ტევადობის მიხედვით, საქართველო და აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად თანაბარ პოზიციებს იკავებენ, ხოლო სომხეთი მათ ჩამორჩება.

საერთაშორისო ტურიზმი

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა (2022 კვ. I - 2024 კვ. III)



საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ყველაზე მაღალი წლიური ზრდის ტემპის მქონე ქვეყნები (2024 კვ. III)



- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2.4 მილიონი შეადგინა, რაც მცირედით აღემატება (2%) 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს.** მიმდინარე წლის III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს და 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მთლიანი რაოდენობის 86%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების დაბალი ზრდის მაჩვენებელი ძირითადად ერთდღიანი ვიზიტების შემცირებას უკავშირდება (-15%), ხოლო ტურისტული ვიზიტები 8%-ით არის გაზრდილი.

- **2024 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა თურქეთიდან (-13%),** რომელიც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების ერთ-ერთი უმთავრესი კონტრიბუტორია (ვიზიტების საერთო რაოდენობის 21%). ამის საპირისპიროდ, რუსეთიდან, საიდანაც 2024 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა (24%), ვიზიტების რაოდენობა მცირედით გაიზარდა (2%).

- **იმ 15 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, წინა წლის III კვარტალთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს (65%).** ასევე მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ისრაელიდან (36%) განხორციელებულ ვიზიტებშიც. ხოლო ვიზიტებმა პოლონეთიდან (-31%) და უკრაინიდან (-22%) ყველაზე მეტად დაიკლო.

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში ევროკავშირიდან განხორციელებულმა ვიზიტებმა 164,000 შეადგინა, რაც 1%-ით ჩამორჩება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს.** ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა გერმანიიდან (19%). მას მოსდევდა პოლონეთი (16%) და საფრანგეთი (7%). თუმცა, ვიზიტების რაოდენობა შემცირდა ევროკავშირის წევრი ათი ქვეყნიდან, ყველაზე მეტად კი - პოლონეთიდან.

- **2024 წლის III კვარტალში საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა, რომლებმაც საერთაშორისო ტურიზმის ხელშეწყობასთან ერთად არასახარბიელო ტენდენციების შემსუბუქებასაც შეუწყო ხელი.** მათ შორის აღსანიშნავია ივლისში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი - M&I Tbilisi 2024, რომელიც დედაქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საქმიანი ტურიზმის პოტენციალის წარმოჩენას ისახავდა მიზნად.[1] გარდა ამისა, სექტემბერში საქართველომ პირველად უმასპინძლა ტურიზმის მსოფლიო დღეს, რომლის მიზანიც იყო ქვეყნის ტურისტული ცნობადობის გაძლიერება საერთაშორისო დონეზე.[2]

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ტურიზმი





- **2024 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია,** რაც 2023 წლის III კვარტალთან შედარებით 8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **2024 წლის III კვარტალში ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 19%).** მას მოსდევდა ევროკავშირი (13%) და თურქეთი (12%). თუმცა ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისრაელს (ვიზიტზე 1,421 აშშ დოლარი), საუდის არაბეთს (1,365 აშშ დოლარი) და ევროკავშირს (1,274 აშშ დოლარი) ჰქონდათ.
- **2024 წლის III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი დახარჯეს განთავსებასა (მთლიანი დანახარჯების 38%) და საყიდლებში (25%).** აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III კვარტალში განთავსების წილი შემცირდა (-4 პროცენტული პუნქტით (პპ)), ხოლო საკვებისა და სასმლის წილი გაიზარდა (+6 პპ), რის შედეგადაც საკვები და სასმელი ვიზიტის დანახარჯების პირველ სამეულში მოხვდა.

* საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ბელარუსის მოქალაქეების 22.6%, რუსეთის მოქალაქეების 18.8% და უკრაინის მოქალაქეების 23.7% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შიდა ტურიზმი

შიდა ვიზიტების რაოდენობა (2022 კვ. I - 2024 კვ. III)



შიდა ვიზიტორების განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით (2024 კვ. III)



- **2024 წლის III კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 5.3 მილიონს მიაღწია, რაც 0.5%-ით ნაკლებია 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.** 2022 წლის მეოთხე კვარტლის შემდეგ შიდა ვიზიტების რაოდენობამ პირველად დაიკლო.
- **შიდა ვიზიტორთა განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2024 წლის III კვარტალში 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია.** შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 20%), რასაც მოსდევდა იმერეთი (17%) და აჭარა (14%).
- **2024 წლის III კვარტალში შიდა ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 47%),** რასაც მოსდევდა რეკრეაცია (17%) და საყიდლები (16%). აღსანიშნავია, რომ 2024 წლის III კვარტალში საყიდლების წილი 2 პპ-ით შემცირდა, ხოლო რეკრეაციის წილი გაიზარდა (4 პპ), რის შედეგადაც რეკრეაცია ვიზიტის მიზნების პირველ სამეულში მოხვდა.
- **2024 წლის III კვარტალში შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 12%-ით მეტია 2023 წლის III კვარტალთან შედარებით.** დანახარ-ჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ, ყველაზე დიდი ადგილი უკავია საყიდლების (32%), საკვებისა და სასმლის (30%) და ტრანსპორტის (19%) დანახარჯებს. აღსანიშნავია, რომ შიდა ვიზიტორების მიერ ერთ ვიზიტზე დახარჯულმა თანხამ 256.0 ლარი შეადგინა, რაც 24%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენე-ბელს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი



- **ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი არის ტურიზმის სახეობა, რომლის დროსაც ვიზიტორის მოტივაციაა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, მათ შორის ფესტივალებში, კონცერტებში, დღესასწაულებსა და გამოფენებში.**[3] მუსიკალური ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სახეობაა. 2023 წლის მონაცემებით, მუსიკალური ტურიზმის ბაზარი 6.6 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული და მოსალოდნელია, რომ 2032 წლისთვის 13.8 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.[4]

- **გლობალური ტენდენციების კვალდაკვალ, ღონისძიებების და მუსიკალური ტურიზმი საქართველოშიც სულ უფრო მეტად ხდება გამორჩეული მიმართულება**. ქვეყანაში გვხვდება გართობის მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის, მსოფლიო დონის მუსიკალური კონცერტები, ეკო ფესტივალები, ჯაზი და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო და ადგილობრივი არტისტების კონცერტები Black Sea Arena-ზე, Tbilisi Open Air - საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მუსიკალური ფესტივალი და ART-GENE FEST - ტრადიციული მუსიკის, ცეკვისა და ხელნაკეთობების მთავარი დღესასწაული.[5]

- **2024 წლის III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტებმა, რომლებიც მოიცავდა კონცერტებზე, ფესტივალებზე, გამოფენებსა ან კინოთეატრებში წასვლას, ან ადგილობრივ დღესასწაულებში მონაწილეობას, 99.7 ათასი შეადგინა** (მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 5%), ხოლო შიდა ვიზიტებმა - 33.9 ათასი (მთლიანი შიდა ვიზიტების 0.6%). 2024 წლის III კვარტალში იმ საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებულმა შემოსავალმა, რომლებმაც ზემოხსენებული აქტივობებიც განახორციელეს, დაახლოებით 66.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24%-ით ნაკლებია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.**

* გამოფენებზე დასწრება არ გულისხმობს მუზეუმების მონახულებას, რადგან იგი სხვა აქტივობად ითვლება.
** ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავალი დაახგარიდა საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაზე გაყოფით. ამ აქტივობების განმახორციელებელი ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავალი განისაზღვრა ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის ამ აქტივობებთან დაკავშირებული საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაზე გამრავლებით.

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმი

Starring Georgia-ს ფარგლებში გამართული კონცერტების ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი



ფართომასშტაბიანი მუსიკალური ღონისძიებებისთვის დარბაზების საერთო ტევადობა რეგიონში (ადამიანი)*



- **კონცერტებზე, ფესტივალებზე, გამოფენებსა ან კინოთეატრებში წასვლასთან ან ადგილობრივ დღესასწაულებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა 2023 წლის III კვარტალში დაფიქსირდა,** რაც, სავარაუდოდ, განაპირობა „Starring Georgia"-ს კამპანიამ, რომელიც 2023 წელს დაიწყო ქვეყნის ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით. ორწლიანი მუსიკალური კამპანიის ფარგლებში, ჯამში, რვა ღონისძიება გაიმართა ხუთ სხვადასხვა ლოკაციაზე. მაგალითად, 2023 წლის აგვისტოში სცენა დაიკავა ცნობილმა ბენდმა Imagine Dragons.

- **2024 წლის აგვისტოში Starring Georgia-მ განაცხადა, რომ ორწლიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს 125,000-მდე დამსწრე ჰყავდა, მათ შორის - 18,750 ტურისტი, რომლებმაც ქვეყანაში 60 მლნ ლარი დახარჯეს.**[6] ამ კონცერტების ბილეთების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 21,4 მილიონი ლარი შეადგინა, სადაც ტურისტების წილი 16% იყო. კონცერტები გაიმართა სხვადასხვა ლოკაციებზე, მათ შორის ბლექ სი არენაზე, მიხეილ მესხის სტადიონზე, დინამო არენასა და „სოციალურ სივრცეში".

* ფართომასშტაბიანი მუსიკალური ღონისძიებებისთვის დარბაზების საერთო ტევადობა თითოეულ ქვეყანაში დათვლილია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით და შეიძლება არ იყოს აბსოლუტურად ზუსტი.

- **Starring Georgia 70 მილიონი ლარის სახელმწიფო სუბსიდიას იღებს. თუმცა, 2023 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, ეს კამპანია მომგებიანი არ ყოფილა.** ორგანიზების ხარჯებმა ჯამში 37 მილიონი ლარი შეადგინა, ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალმა - 15 მილიონი ლარი, ხოლო სპონსორობის შემოსავალმა - 3 მილიონი ლარი.[7]

- **სამხრეთ კავკასიის რეგიონი რამდენიმე ფართომასშტაბიან საკონცერტო სივრცეს აერთიანებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ტურისტების მოსაზიდად და გლობალურ მუსიკალურ ტურიზმში რეგიონის მოწინავე მოთამაშედ პოზიციონირებისთვის**. ასეთი დარბაზების საერთო ტევადობის მიხედვით, საქართველო და აზერბაიჯანი მეტ-ნაკლებად თანაბარ პოზიციებს იკავებენ, თუმცა სომხეთი მათ ჩამორჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ აზერბაიჯანი რეგიონში ერთ-ერთ უდიდეს დარბაზს ფლობს, კერძოდ, ბაქოს ოლიმპიური სტადიონს, რომლის ტევადობა 69,870-ს შეადგენს.[8]

- **საქართველოს ღონისძიებებისა და მუსიკალური ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება,** რაც დადასტურდა საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო პროტესტებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად Massive Attack-ის მიერ 2024 წლის ივლისში დაგეგმილი კონცერტის გაუქმებით.[9]

წყარო: ბლექ სი არენა

სასტუმროს ფასები საქართველოში



- **2024 წლის თებერვლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 3,198 განთავსების საშუალების მიმწოდებელი,** რომელთა უმეტესობა მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთში (19%), თბილისსა (17%) და აჭარაში (15%).
- **2024 წლის მარტის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში სასტუმროების ოთახების რაოდენობა 53,759-ს შეადგენს, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობა - 128,015-ს.** 2024-2028 წლებში ქვეყნის მასშტაბით 22 ბრენდირებული სასტუმროს გახსნა იგეგმება, რაც ოთახების რაოდენობას გაზრდის 2,865-ით (+5,3%), ხოლო საწოლების რაოდენობას 5,550-ით (+4,3%).[10]
- **2024 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 180 ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს 3%-ით აღემატება.** ამავე პერიოდში 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 278 ლარი იყო (-3%), 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს - 574 ლარი (+12%). ხოლო საოჯახო სასტუმროების საშუალო ფასმა 113 ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 12%-ით შემცირებული მაჩვენებელია.

* შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმრო-ების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტ-რირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი).

წყარო: PMCG კვლევითი ცენტრი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გამყვანი ტურიზმი

საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები (2022 კვ. I - 2024 კვ. III)



გასვლითი ვიზიტები ქვეყნების მიხედვით (2024 კვ. III)



- **2024 წლის III კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 603 თასი შეადგინა, რაც 7%-ით ნაკლებია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.** 2021 წლის II კვარტლის შემდეგ გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ პირველად დაიკლო, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას. აღსანიშნავია, რომ თურქეთში, რომელიც საქართველოდან გამავალი ვიზიტორებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიმართულებაა, 2024 წლის აგვისტოში ინფლაციურმა ზეწოლამ გამოიწვია სტუმარმასპინძლობის სექტორში ფასების წინა წელთან შედარებით 68%-ით ზრდა.[11] გარდა ამისა, ბიზნესის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ წინა პერიოდებში გამავალი ვიზიტების დიდმა რაოდენობამ, განსაკუთრებით, UEFA EURO 2024-ის პერიოდში, ვიზიტების შემდგომი ვარდნა განაპირობა.[12]

- **2024 წელის III კვარტალში საქართველოს რეზიდენტების 38%-მა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი, რომელსაც მოსდევდა რუსეთი (19%), ევროკავშირი (15%) და სომხეთი (12%).** აღსანიშნავია, რომ თურქეთსა (-15%) და სომხეთში (-30%) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო რუსეთში (+22%), ევროკავშირსა (+2%) და აზერბაიჯანში (14%) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა.

- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2024 წლის III კვარტალში 676 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 14%-ით მეტია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.** დანახარჯების უდიდესი ნაწილი საყიდლებს (34%), საკვებსა და სასმელს (29%) და ტრანსპორტირებას (20%) უკავია.

- **2024 წელის III კვარტალში საქართველოს მოქალაქეების გასვლითი ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრების ან ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 32%) და, ასევე, საყიდლები (32%).** 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა იმ ვიზიტორთა წილი, რომელთა მთავარ მიზანსაც რეკრეაციული ვიზიტები (+3 პპ) წარმოადგენდა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში

მთლიანი შიდა პროდუქტი HORECA სექტორში



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები HORECA სექტორში



ინვესტიციები HORECA სექტორში 2023 წელს ქვეყნების მიხედვით



HORECA სექტორის ბრუნვა



დასაქმება HORECA სექტორში



ნომინალური საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება HORECA სექტორში



* მონაცემები წინასწარია და დაზუსტდება მოგვიანებით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

დამატებითი წყაროები:

1. https://georgiatoday.ge/international-business-tourism-forum-mi-tbilisi-2024-is-being-held-in-tbilisi/.
2. https://www.interpressnews.ge/en/article/133574-georgia-is-hosting-the-world-tourism-day/.
3. https://www.tboacademy.com/blog/event-tourism/#:~:text=Event%20tourism%20provides%20travelers%20with,and%20tradition%20of%20the%20destination.
4. https://www.custommarketinsights.com/report/music-tourism-market/.
5. https://georgia.travel/festivals-in-georgia-country.
6. https://www.radiotavisupleba.ge/a/32989411.html.
7. https://1tv.ge/news/starring-georgia-m-orwliani-kampania-sheajama/.
8. http://www.visions.az/en/news/434/e2eca0be/.
9. https://asbarez.com/serj-tankian-to-perform-first-concert-in-armenia-on-august-12/.
10. https://bm.ge/news/romeli-sastumroebis-gakhsna-igegmeba-qveyanashi-2024-2028-tslebshi.
11. https://visitturkey.in/hotel-prices-surge-amid-rising-inflation-in-turkey-august-2024-update/#toc_Understanding_Inflation_in_Turkey_August_2024_Overview.
12. https://bm.ge/news/ratom-shemtsirda-gamyvani-turizmis-statistika-winglet.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
უმცროსი მკვლევარი
m.jikia@pmcginternational.com

ეკატერინე შერმადინი
კვლევითი ასისტენტი
e.shermadini@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 557 170 660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcg-i.com